

# მიმოხილვა

## REVIEW ARTICLES

ნინო დობორჯგინიძე  
თამარ კალხიტაშვილი

### საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი

<http://epigraphy.iliauni.edu.ge/>

საქართველოს ეპიგრაფიკა ყველაზე საერთაშორისო ქართველოლოგიური დარგია, რამდენადაც იგი იკვლევს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ან დაცულ ქართულ და უცხოენოვან, მათ შორის ურარტულ, ბერძნულ, არამეულ, ებრაულ, სომხურ, არაბულ, სპარსულ და თურქულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს. განსხვავებული ეპოქისა და ისტორიული კონტექსტის ძეგლთა სიძველე და მრავალფეროვნება მკაფიოდ და ზუსტად ხსნის იმ დიდ ინტერესს, რასაც ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში ბრიტანული, ფრანგული, გერმანული, ავსტრიული და რუსული სააზიო საზოგადოებები იჩენდნენ საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის მიმართ.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ეპიგრაფიკით დაინტერესება ემთხვევა ევროპაში ამ დარგის პირველ ნაბიჯებს. შესაბამისად, საქართველოს კულტურული სემანტიკის განსაზღვრა, როგორც უძველეს ცივილიზაციათა შეხვედრის ადგილისა, პირდაპირ უკავშირდება ჯერ ცნობილ ევროპელ მოგზაურთა,<sup>1</sup> შემდეგ კი მეცნიერთა

---

1 პირველი ასეთი ექსპედიციის ხელმძღვანელმა, იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა, საქართველოში 1771 წლის სექტემბერში ჩამოაღწია და აქ 1772 წლის ოქტომბრამდე დარჩა. მოგზაურობის ჩანაწერი, მათ შორის 11 ეპიგრაფიკული ტაბულა, რომელთაგან ერთი, მწვანეყვავილას წარწერა, მხოლოდ საექსპიდიციო ჩანაწერებშია დოკუმენტირებული, ავტორის გარდაცვალების შემდეგ ბერლინში გამოიცა. Güldenstädt 1815; გიულდენშტედტი 1962. თავად ამ მკვლევარების აკადემიურ კარიერას განსაზღვრავდა კავკასიის შესახებ შექმნილი ნაშრომები, e.g. იაკობ რეინეგსი 1786 წელს გოტინგენის სამეცნიერო აკადემიის წევრად სწორედ საქართველოს შესახებ წარმოდგენილი მოხსენების შემდეგ აირჩიეს (შდრ. Krahnke 2001: 199.); 1792 წელს კი ლეოპოლდინას (Deutsche Akademie der Naturforscher Leopoldina) წევრად.

მნიშვნელოვან შეფასებებს: „საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ძეგლები აჩვენებს, რომ იგი ეკუთვნოდა იმ ზონას, რომელიც სარტყელივით ეკვროდა კაცობრიობის უძველეს კულტურულ ცენტრებს წინააზიაში; ეს მხარე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მცირე აზიის, ხმელთაშუა ზღვისა და მესოპოტამიის ხალხებთან და მათ კულტურულ მონაპოვართან“<sup>2</sup>

XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან, ანუ ეპიგრაფიკით დაინტერესების მოგზაურული ეტაპიდან<sup>3</sup> მოყოლებული, ეპიგრაფიკული ძეგლების შეგროვებისა და კვლევის უკლებლივ ყველა საფეხური გადამწყვეტი იყო საქართველოს ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის გადარჩენისა და აღიარებისათვის.<sup>4</sup> წარმოდგენილი სტატიის მიზანს, ცხადია, არ წარმოადგენს ამ კვლევითი ეტაპების დაწვრილებითი დახასიათება, დარგის სამეცნიერო ისტორიის ცალკეულ საკითხზე მხოლოდ ფუნქციური თვალსაზრისით გავამახვილებთ ყურადღებას. სტატიის ძირითადი ნაწილი შეეხება საქართველოს ეპიგრაფიკის კორპუსულ გამოცემას, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარის მიმართულების პროექტია.<sup>5</sup> მოკლედ შევეხებით ეპიგრაფიკული

2 შდრ. “Die frühen Zeichen – und Schriftfunde auf georgischem Boden lassen erkennen, dass Georgien zu jener Zone gehörte, die als Gürtel die ältesten Kulturzentren der Menschheit in Vorderasien umschloß. Dieses Gebiet hatte Kontakt zu den Völkern Kleinasiens, des Mittelmeerraums und Mesopotamiens und zu deren kulturellen Errungenschaften”. იხ. Fährnich 2001: 434.

3 DuBois 1839-1849. Lehmann-Haupt 1910.

4 „ეს გამოცემა (იგულისხმება დიუბუა დე მონპერეს ექვსტომეული) განხორციელდა ფრანგულ ენაზე, რაც მეტად ზრდიდა ამ წარწერებით სარგებლობის მსურველთა/დაინტერესებულთა წრეს, ეს კი, თავის მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, რადგან, როგორც ფრ. დიუბუას ნაშრომისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ რეცენზიაშია აღნიშნული, ამ გამოცემამდე „საერთოდ ეჭვიც კი არ არსებობდა ასეთი სახის წარწერების არსებობის შესახებ. [...] მრავალი წესი, მეთოდი და ხერხი, რომლითაც მ. ბროსემ პირველმა წამოწყო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შეკრება, შესწავლა და გამოქვეყნება ამჟამადაც არა თუ შეწყნარებულია და მისაღები, არამედ ასეთი სახის სამუშაოს წარმატებით შესრულების ერთადერთ სწორ გზად არის მიჩნეული.“ (სილოგავა 1986: 143).

5 იდეა პროექტისა, რომელიც 2014 წლიდან ხორციელდება ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში, ეკუთვნის სტატიის თანაავტორს, თამარ კალხიტაშვილს. გამოყენებითი ენათმეცნიერების მიმართულებით სამაგისტრო კვლევის ფარგლებში მან პირველად დაამუშავა საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების ციფრული გამოცემის ელექტრონული სქემა – XSLT, რომელიც 2017 წლიდან თან ერთვის EpiDoc გაიდლაინების 9.0 რედაქციას ECG – Epigraphic Corpus of Georgia-ს სახელით. 2017 წლიდან პროექტი გაფართოვდა და დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. იხ. პროექტი Nr. FR17\_62, ხელ.ლი ნ. დობორჯგინიძე, კოორდინატორი თ. კალხიტაშვილი, მკვლევრები: ეკა კვიციკველია (ქართული მასალა), ეკატერინე კვიციკველია (ბერძნული მასალა), ნათია ჩანტლაძე (სომხური მასალა), თამარ კაპანაძე (მონაცემთა ბაზა), ანა ასათიანი (კორპუსის დიზაინი და ვებგვერდი), ასისტენტები: ნათია გელაშვილი, ნათია

ძეგლების ციფრული გამოცემის სტანდარტს და იმ სირთულეებს, რაც თავს იჩენს საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების ელექტრონული გამოცემის მომზადებისას.

ეპიგრაფიკის, როგორც საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი დარგის განვითარებას, როგორც ზემოთ ვთქვით, ევროპასა და საქართველოში მსგავსი წინაპირობები ჰქონდა. ამ დარგის შესწავლის პირველი ცდები დაკავშირებულია ევროპელი და რუსი ემისრების, მოგზაურების სახელთან; ვგულისხმობთ მათ მიერ ევროპული და რუსული საიმპერატორო აკადემიებისათვის განსხვავებული მიზნებით წარდგენილ ანგარიშებს, საგანგებო მოხსენებებს, ჩანაწერებსა და შეგროვილ კოლექციებს (არა მხოლოდ ეპიგრაფიკულს).<sup>6</sup> ევროპელ მოგზაურთა და სწავლულთა გამორჩეული ინტერესის შედეგი იყო კავკასიის ეპიგრაფიკის მუზეუმის გახსნა, თბილისში პირველი ეპიგრაფიკული გამოფენის მოწყობა, არაერთ ცნობილ უცხოელ მეცნიერთა და სწავლულთა, მათ შორის ლემან-ჰაუპტის<sup>7</sup> შრომები კავკასიისა და საქართველოს ეპიგრაფიკაზე.<sup>8</sup>

პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ საქართველოსა და კავკასიის ეპიგრაფიკის შესწავლას ივანე ჯავახიშვილი ედგა სათავეში. ჯერ კიდევ პეტერბურგში 1914 წელს დაწერილი „დამწერლობათმცოდნეობის“ შევსებული სახელმძღვანელოს<sup>9</sup> ბიბლიოგრაფია კარგ წარმოდგენას გვიქმნის, რამდენად ზედმიწევნით იცნობდა და მისდევდა ივანე ჯავახიშვილი ეპიგრაფიკის იმ დროისათვის

სადღობელაშვილი, მადონა შილდელაშვილი.

6 Bayern 1882; Brosset 1840; Brosset [1849] 1851; Reineggs 1797; 1882; 1886; 1888.

7 გერმანელი ორიენტალისტი, ურარტული წარწერების კორპუსის – Corpus Inscriptionum Chaldicarum-ის თანაავტორი. იხ. Lehman-haupt, Bagel, Schachelmeyr 1928.

8 შდრ. კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტი იგონებს კავკასიის მუზეუმში ურარტულ წარწერებზე მუშაობას: „დღემდე სიამოვნებით ვიგონებ დროს, რომელიც ტფილისის მუზეუმის ეზოში 1898 წლის გაზაფხულსა და 1899 წლის ზაფხულში მუშაობაში გავატარე... იქაური ფერები და სურნელი აყვავებული ვარდისა, ქედნების ღულუნი ვოლიერებში, უცვლელად შემორჩა ჩემს მესხიერებას. [...] მუზეუმში ასევე ინახება სხვა წარწერა, ატამჩანისა, გოგჩის ტბიდან. მისი შექმნელის დადგენა განსაკუთრებით რთული იყო სახელის უცნაური დაწერილობის გამო. მაგრამ ჩვენ, ჯერ კიდევ სამშობლოში, ვაჩვენეთ, რომ ეს იყო არაგვის ვაჟი, სარდური, ტიგლათფილესერ IV-ის მტერი. მამის წარწერისაგან განსხვავებით, ეს შედარებით მცირე ტექსტი შესანიშნავადაა შემონახული. ორიგინალის წაკითხვა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. ქვა მოსახერხებელი გამოდგა ქალდეურის თანასწორი ასლების გასაკეთებლად. რა ხშირად ვიგონებდი სომხეთში მოგზაურობისას ჩემს სამუშაო სივრცეს ტფილისის მუზეუმში, როცა ბნელი ეკლესიების კედლებიდან და კლდეებიდან მიწევდა ასლების აღება“ (Lehmann-Haupt 1910: 59).

9 ჯავახიშვილი 1926.

არსებულ მნიშვნელოვან გამოცემებსა და დასავლურ სამეცნიერო სტანდარტს.

საერთაშორისო მეცნიერებასთან უშუალო კავშირი საბჭოთა ეპოქაში, ცნობილი მიზეზების გამო, ფაქტობრივად, გაწყდა. შესაბამისად, ქართულ სამეცნიერო პრაქტიკაში ველარ იქნა გაზიარებული ეპიგრაფიკული ძეგლების კრიტიკული გამოცემის სტანდარტი, რომელიც ლაიდენის კონვენციის სახელითაა ცნობილი.<sup>10</sup>

ამ კონვენციაში, რომელიც 1930-იანი წლების პირველ ნახევარში შეიქმნა, გათვალისწინებულია, უფრო ზუსტად სტანდარტიზებულია ეპიგრაფიკული ძეგლის გამოცემის მანამდე არსებული წესები; ერთიანი პირობითი აღნიშვნების გზით იგი იძლეოდა სემანტიკური კოდირების საშუალებას.<sup>11</sup> კონვენციის გავრცელებას ობიექტური ფაქტორები უშლიდა ხელს და მიუხედავად იმისა, რომ 1931 წელს უკვე არსებობდა კონვენციის პირველადი ვერსია, მისი გამოყენება მაშინვე არ დაუწყიათ. ლაიდენის კონვენციის მთავარ ნაკლად მიიჩნევენ, რომ ამ სტანდარტით გამოცემისას წარწერის ტექსტი მეორეული მნიშვნელობისაა, პირველ პლანზე რჩება ეპიგრაფიკის, როგორც არქეოლოგიური და ისტორიული დისციპლინის როლი და ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა წარწერის ენობრივ შესწავლას.<sup>12</sup>


1932 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა და საერთაშორისო პრაქტიკაში მეტ-ნაკლებად დამკვიდრდა ბეჭდური ეპიგრაფიკული მასალის დოკუმენტირების სტანდარტი, ლაიდენის კონვენცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ სამეცნიერო პრაქტიკაში ვერ მოხერხდა მისი გაზიარება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იზოლაციის მიუხედავად, თ. ყაუხჩიშვილის, ნ. შოშიაშვილის, ვ. სილოგავას, არნ. ჩიქობავასა და სხვათა გამოცემებში ვხვდებით პირობით აღნიშვნათა სისტემატიზაციის ცდას, რაც ქართველ ეპიგრაფიკოსთა დიდ მეცნიერულ ალლოსა და გამოცდილებაზე მეტყველებს. მართალია, ამგვარი პირობითი ნიშნები უფრო კონკრეტულ გამოცემებთანაა დაკავშირებული და სტანდარტიზაციის სისტემური პროცესი მათ არ გაუვლია, ამის მიუხედავად, მათში მაინც წარმოდგენილია კონკრეტული ეპოქის, ისტორიული, გეოგრაფიული თუ სოციო-კულტურული არეალის წარწერებისთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი თავისებურებები. ქვემოთ წარმოვადგენთ ორ ტიპურ მაგალითს; ცხადია, რომ უფრო სისტემური ჩანს პირობითი ნიშნები, რომლებიც დაქარაგმების, გამოტოვებული ადგილების აღდგენის, გაურკვეველი მოცულობის ნაკლული

10 Van Groningen 1932: 262-269; ყაუხჩიშვილი 2002.


11 შდრ. Roued-Cunliffe 2010: 365-379.

12 შდრ. Cayless, Hugh, Charlotte Roueché, Tom Elliott, and Gabriel Bodard. "Epigraphy in 2017" იბ. Digital Humanities Quarterly, no. 3 (January 2009): 1.

ტექსტის, დაზიანებული ტექსტის, მათ შორის დაზიანებული ტექსტის ასოთა შესაძლო რაოდენობის, სავარაუდო ან დამაჯერებლად ამოკითხული ტექსტის, წარწერის ტექსტის დასაწყისის, ან დაბოლოების აღსანიშნად გამოიყენებოდა (იხ. ილუსტრაცია 1, 2).



ილუსტრაცია 1.: არნოლდ ჩიქობავა: ქართულ-ხუნძური წარწერა, XIV საუკუნე, დაღესტანი, (ჩიქობავა 1940)



ილუსტრაცია 2 (სილოგავა 1994)

უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ბერძნული წარწერების თინათინ ყაუხჩიშვილისეული გამოცემა, როგორც საეტაპო ნაშრომი საქართველოს ეპიგრაფიკის კვლევაში. მასში შესამჩნევად მეტი ყურადღება ექცევა წარწერების ენას, მორფოლოგიას, ფონეტიკასა და სიტყვათმეთანხმებას, ვიდრე სხვა ქართულ გამოცემებში.<sup>13</sup> ეპიგრაფიკული ძეგლების ქართული გამოცემები, ცხადია, არ ითვალისწინებს ლაიდენის კონვენციას, მხოლოდ თ. ყაუხჩიშვილის ავტორობით 2002 წელს გამოქვეყნებული ბერძნული ეპიგრაფიკის სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში მხოლოდ მიმოხილულია ლაიდენის კონვენციის შექმნის გარემოებები.<sup>14</sup>

2000 წლიდან ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში ეპიგრაფიკის დოკუმენტირებისა და კვლევის ახალ სტანდარტს ჩაეყარა საფუძველი, შეიქმნა ერთიანი რეკომენდაციები ეპიგრაფიკული ძეგლების TEI-სა (Text Encoding Initiative) და XML (Extensible Markup Language) სტრუქტურული აღწერისთვის. ეს უკანასკნელი ქმნის EpiDoc-ის წესებს, რომლის დამუშავებასა და განვითარებაში ჩართულნი არიან ლონდონის კინგს კოლეჯისა და ლაიპციგის უნივერსიტეტების ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულების მკვლევრები. თავდაპირველად EpiDoc-ის წესები იქმნებოდა ლაიდენის კონვენციის მიხედვით გამოცემული ეპიგრაფიკული წყაროების ციფრული დოკუმენტირებისთვის; თუმცა დღეს EpiDoc-ი ფართოვდება და მასში აისახება სხვადასხვა ენაზე შემონახული სრულიად განსხვავებული ძეგლების თავისებურებები.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, 2018 წლიდან საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების ციფრული გამოცემის ელექტრონული სქემა – XSLT<sup>15</sup> შეტანილ იქნა EpiDoc-ის მეცხრე რედაქციაში. მასში, გარდა ქართულენოვანი წარწერებისა, გაზიარებულია საქართველოს ებრაული, არამეული და სომხური წარწერების ციფრული გამოცემის ელექტრონული სქემა.<sup>16</sup> პროექტს დიდი დახმარება გაუწია ამას გარდა, საქართველოს ეპიგრაფიკის კორპუსის პროექტი დაკავშირებულია ძველი

13 ყაუხჩიშვილი 2009.

14 ყაუხჩიშვილი 2002.

15 <https://github.com/EpiDoc/Stylesheets/blob/master/htm-tpl-struct-ecg.xsl>

16 სტანდარტიზაციის ამ მნიშვნელოვან ეტაპზე დიდი დახმარება გაგვიწია ლონდონის კინგს კოლეჯის პროფესორმა, EpiDoc-ის სტანდარტის თანაავტორმა და საქართველოს ეპიგრაფიკის პროექტის კონსულტანტმა, პროფესორმა გაბრიელ ბოდარმა. იგი აქტიურადაა ჩართული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის ეპიგრაფიკის მიმართულების სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში; იგი რეგულარულ კონსულტაციებს სთავაზობს ციფრული ეპიგრაფიკის დოქტორანტებს. გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და დიდი მადლიერება გამოვხატოთ მის მიმართ.

ბერძნული და ლათინური ეპიგრაფიკის ევროპულ ქსელთან EAGLE Europeana, რომელიც შეიქმნა ევროკომისიის ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების პოლიტიკის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში. EAGLE Europeana-ს მიზანია ხელი შეუწყოს EpiDoc-ის სტანდარტით შექმნილი რესურსების ბმულებით დაკავშირებულ რესურსებად (ე. წ. Linked Data) ჩამოყალიბებას.

EpiDoc-ის წესების შექმნა ყველაზე მკვეთრ სიახლედ მიიჩნევა ეპიგრაფიკაში. EpiDoc-ი წარწერის ჰოლისტიკური ციფრული აღწერისა და მისი ტექსტის სემანტიკური მონიშვნის საშუალებას იძლევა; თანაც, ეს ყოველივე მანქანურად წაკითხვად, მოქნილ ფორმატშია წარმოდგენილი და საერთაშორისო ეპიგრაფიკული საზოგადოების მიერ ციფრული სამეცნიერო გამოცემისათვის დაწესებული მოთხოვნების მრავალ ასპექტს აკმაყოფილებს.

EpiDoc სტანდარტის თანაავტორი, გაბრიელ ბოდარი თვლის, რომ ელექტრონული გამოცემა წარწერების ახლებური აღქმის შესაძლებლობას იძლევა: ერთი მხრივ, ტექსტის კოდირება და მეორე მხრივ, ბმულებით გამდიდრებული აღწერის მონაცემები წარაწერას წარმოადგენს ერთდროულად როგორც ტექსტს და არქეოლოგიურ ობიექტს.<sup>17</sup>

ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენთ საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსის ზოგიერთ მახასიათებელს. ამ ეტაპზე პროექტი მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ I-IX საუკუნეების ქართულ, ბერძნულ არამეულ და სომხურ წარწერებს, დოკუმენტირებულს EpiDoc სტანდარტის მიხედვით. სამომავლოდ დაგეგმილია საქართველოს ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის სრული კორპუსის შექმნა. წარწერების სარჩევში ეპიგრაფიკული მასალა წარმოდგენილია ადგილის, თარიღის, ტექსტის კატეგორიის და მონუმენტის ტიპის მიხედვით (შდრ. <http://epigraphy.iliauni.edu.ge/ka-GE/TableOfContents>); თითოეული წარწერა კორპუსში წარმოდგენილია როგორც დიპლომატიური და კრიტიკული გამოცემის, ისე XML ფორმატით:

17 Bodard 2008.



ილუსტრაცია 3, არმაზის ბილინგვა. კრიტიკული და დიპლომატიური გამოცემა, წარწერის XML.

წარწერის მეტამონაცემებში წარმოდგენილია წარწერის ფოტო და მისი გარეაღწერილობა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით (იხ. ილუსტრაცია 3): ობიექტის აღწერა (მონუმენტის ტიპი, მასალა, ქვის ზომები), წარწერის ზედაპირის აღწერა (წარწერიანი ზედაპირი, წარწერის ფართობი), ხელის აღწერა (გრაფემების სიმძლვე, წარწერების სიგანე), წარმომავლობა (წარწერის ზუსტი/სავარაუდო დათარიღე-



ბა), პოვნის/შენახვის ადგილი (პოვნის თარიღი, სად არის დაცული, წარწერის შიფრი, პროექტზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია, შიფრი, ლიცენზია).



ილუსტრაცია 4: არმაზის ბილინგვის მეტამონაცემები.

თუკი წარწერის XML ფორმატში კოდირება, ბმულებით დაკავშირებული მეტამონაცემები ციფრული სამეცნიერო გამოცემის მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენს, შიდა კონტროლირებადი ლექსიკონებისა და საინდექსაციო ერთეულების განვითარება ელექტრონული კორპუსის სრულყოფისთვისაა აუცილებელი. ამიტომაც, საქართველოს ციფრული ეპიგრაფიკული კორპუსის თითოეული კოდირებული წარწერიდან აიგო პირთა, წმინდანთა, საერო მმართველთა, საეკლესიო პირთა შიდა კონტროლირებადი ლექსიკონები. რადგან საქართველოს ეპიგრაფიკულ კორპუსი პირველი ელექტრონული კორპუსია კავკასიაში და ამასთან იგი მოიცავს მრავალენოვან ეპიგრაფიკულ მასალას, კონტროლირებადი ლექსიკონი ათანაბრებს სხვადასხვა სალექსიკონო ერთეულებს ერთმანეთთან. მაგალითისათვის:

```
<person xml:id="pitiach">
<persName xml:lang="ka">ეზოსმოძღვარი</persName>
<persName xml:lang="ka">პიტიახში</persName>
<persName xml:lang="grc">πιτιάχης</persName>
<persName xml:lang="la">vitaxa</persName>
<persName xml:lang="arc">ܫܝܨܬ</persName>
```

<persName xml:lang=»en»>pitiach</persName>

<idno type=»wp»><http://www.iranicaonline.org/articles/bidaxs-title-of-iranian-origin></idno>

<inscription>ECG0001</inscription>

</person>

ამგვარი ჩანაწერი საშუალებას გვაძლევს, ყოველი შემდგომი წარწერის კოდირებისას, სადაც კი შეგვხვდება სიტყვა „პიტიახში“ გარდა სტანდარტით განსაზღვრული თავისა (<roleName>) ლემის სახით მივუთითოთ XML იდენტიფიკატორი: xml:id=»pitiach«, მარტივად რომ ვთქვათ, ესაა „პიტიახში“ კაუჭი, რომელზეც ვკიდებთ ყველა შესაბამის წარწერას და შემდგომში, მკვლევარს საშუალებას ვაძლევთ ბმულზე ერთი გადასვლით ნახოს კორპუსის ყველა წარწერა, სადაც ეს სახელია მოხსენიებული – ნებისმიერ ენაზე.

თანამედროვე ეპიგრაფიკული მასალის ციფრული სამეცნიერო გამოცემის სტანდარტის დანერგვა საშუალებას გვაძლევს:

ა. დავუბრუნოთ საქართველოში ეპიგრაფიკის, როგორც სამეცნიერო დარგის განვითარების გზა საერთაშორისო „მაგისტრალს“, რომელზეც იგი მოძრაობდა საბჭოთა ოკუპაციამდე;

ბ. ერთ ციფრულ გამოცემაში გავაერთიანოთ სხვადასხვა სარედაქციო ფოკუსი, რომელთაგან ერთი მეტ ყურადღებას უთმობს წარწერის ენობრივ მხარეს, სხვა – ისტორიოგრაფიულსა და პალეოგრაფიულს;

გ. ორენოვანი ციფრული გამოცემისა და ბმულებით დაკავშირებული მონაცემთა ბაზის საშუალებით საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ XIX-XX საუკუნის ცნობილ უცხოელ და ქართველ მეცნიერთა გამოცემები;

დ. დარგით დაინტერესებულ ახალგაზრდა მეცნიერებს მივცეთ საშუალება, შექმნან ახალი ციფრული ე.წ. Born-digital გამოცემები.

## დამოწმებანი

- გიულდენშტედტი, იოჰან. 1962. *მოგზაურობა საქართველოში*, გერმანული ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
- სილოგავა, ვალერი. 1986. მარი ბროსე – ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი. *მრავალთავი XII*: 141-148
- სილოგავა, ვალერი. 1994. *კუმურდო – ტაძრის ეპიგრაფიკა*. თბილისი: მეცნიერება
- ყაუხჩიშვილი, თინათინ. 2002. *ბერძნული ეპიგრაფიკა*. თბილისი: ლოგოსი
- ყაუხჩიშვილი, თინათინ. 2009. *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი*. თბილისი: ლოგოსი
- ჩიქობავა, არნოლდ. 1940. ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნის, დაღესტნიდან. *სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე*, ტ. I, №4, თბ., 1940: 321-327
- ჭიჭინაძე, ზაქარია. 1920. *გერმანელი დოკტორ იაკობ რეინგესი მეფე ერეკლეს კარზედ რუსთავან კომისრათ და მინისტრათ დანიშნული საქართველოში*. თბილისი
- ჯავახიშვილი, ივანე. 1926. *ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია*. ტფილისი: ქართული წიგნი
- Bayern, Frédéric. 1882. *Précédée d'une introduction biographique par M. Ernest Chantre* / Lyon: Impr. Pitrat ainé, 1882 Contribution à l'archéologie du Caucase / par Frédéric Bayern, Lyon
- Bodard, Gabriel. 2008: *The Inscriptions of Aphrodisias as Electronic Publication: A User's Perspective and a Proposed Paradigm*. Ed. Dorothy Carr Porter. Digital Medievalist, no. 4
- Brosset, Marie Félicité. 1840. *Inscriptions tumulaires georgiennes de Moscow et de St. Petersbourg, Mémoires de l'Académie Impériale des Sciences de Saint-Petersbourg. Sixième série. Sciences politiques, histoire et philologie. Tome IV. L'académie Impériale des Sciences, St. – Pétersbourg*
- Brosset, Marie Félicité. [1849] 1851. *Rapports Sur Un Voyage Archeologique Dans La Georgie Et Dans L'Armenie Execute En 1847-1848*, L'académie Impériale des Sciences, St. – Pétersbourg, 1849
- Cayless, Hugh, Charlotte Roueché, Tom Elliott and Gabriel Bodard. 2009. Epigraphy in 2017, Digital Humanities Quarterly, no. 3 (January): 1
- DuBois de Montperreux, Frédéric. 1839-1849. *Voyage autour du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée*, 6 vol. Paris: Librairie de Gide

- Fähnrich, Heinz. 2001. Gab es eine georgische Schrift zur Zeit des Farnavas. *DEDICATIO*. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. ეძღვნება აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 75-ე წლისთავს, რედ. ნ. ვაჩნაძე. 432-436, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- Groningen, B.A. van. 1932. A. Projet d'unification des Systemes de Signes Critiques. *Chronique d'Egypte*, vol. 7, 13-14: 262-269. Turnhout: Brepols
- Güldenstädt, Johann Anton. 1815. *Reisen nach Georgien und Imerethi: von Julius von Klaproth*. Berlin: Maurerschen Buchhandlung
- Krahnke, Holger. 2001. *The members of the Academy of Sciences at Göttingen 1751-2001*; Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht
- Lehmann-Haupt, Carl Ferdinand Friedrich. 1910. *Armenien einst und jetzt: Vom Kaukasus zum Tigris und nach Tigranokerta*, Berlin: B. Behr's Verlag
- Lehman-Haupt, Carl Ferdinand Friedrich, Felix Bagel und Fritz Schachermeyr. 1928. *Corpus Inscriptionum Chaldicarum*, Berlin, Leipzig: Walter de Gruyter & Co
- Reineggs, Jacob. 1797. *Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus*. T. 2, Hildesheim-Sankt Petersburg: Gerstenberg & Dittmar
- Roued-Cunliffe, Henriette. 2010. Towards a Decision Support System For Reading Ancient Documents. *Literary and Linguistic Computing* 25, no. 4 (2010): 365-379
- Вейденбаум, Е. Г. 1888. Путеводитель по Кавказу (Военно-грузинская дорога) Тифлис